№ 209 სექტემბერი 30, ხუთშაბათი 1893 სექტემბერი 30, ხუთშაბათი № 209

ივერია

სახპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1893 1877—1893

გაზეთი ღირს

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაბეჭდად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკია 'ში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვ ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

„ი ვ ე რ ი ა“

გამოდის 1893 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1893 წლისათვის, მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთ-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის ხვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

ტფილისი, 29 სექტემბერი

—

რუსეთის მწერლობამ დაჰკარგა ერთი საუკეთესო და უსაყვარლესი მწერალი: დეპეშამ მოგვიტანა ამბავი, რომ 26 ამ თვეს პარიჟში გადაცვლილა პოეტი ალექსი პლეშჩეევი.

განსვენებულს კარგათ იცნობდა რუსეთის საზოგადოება და ხანგრძლივის თავის მწერლობის დროს პოეტს არც ერთხელ არ უღალატნია მტკიცედ განსაზღრულის კეთილშობილის აზრისათვის. პლეშჩეევი ნახევარის საუკუნის განმავლობაში დამღეროდა ხალხის თავისუფლებას, ადამიანის სიკეთეს და სიწმინდეს; მაგრამ, როდესაც საჭირო იყო, პოეტი სხვა გვარ ჰანგებსაც ამოაღებინებდა თავის მუზას. იგი ხშირად ძლიერის და მშვენიერის ლექსით დაჰგმობდა და შეებრძოლებოდა ქვეყნის უსამართლობას და ბოროტებას. რუსეთში აღზრდილს ჩვენს თაობას ეხლაც ახსოვს მრავალი ამისთანა ჩინებული სულის აღმამაღლებელი ლექსები განსვენებულის პოეტისა.

პლეშჩეევი თანამედროვე იყო ყველა გამოჩენილთა მწერალთა. პლეშჩეევის თვალ-წინ დაბადებულა და გაზრდილა რუსეთის მწერლობა და განსვენებულს პოეტს, რასაკვირველია, არა მცირედი ღვაწლი აქვს დადებული ამ ქვეყნისთვის საშვილიშვილო საქმეში.

ქართულს ჟურნალებში დაბეჭდილი ყოფილა რამდენიმე ლექსი პოეტისა.

პლეშჩეევი, რასაკვირველია, პოეზიაში არ იყო პირველი ხარისხის ვარსკვლავი, მაგრამ ღმერთს პოეტისთვის მაინც დიდათ სიმპატიური და კეთილშობილი გრძნობა მიემადლა. მაგრამ ყველაფერზედ უფრო ძვირფასი ამ მწერალში ის იყო, რომ განსვენებული ყოველთვის კეთილად ხმარობდა ღვთისაგან ბოძებულს ნიჭს.

მეველე

⁂

ახალი ამბავი

—

⁂ 29 სექტემბერს საღამოს 5 საათსა 50 წამზედ სახალხო მატარებლით ალსტაფიდგან დაბრუნდა ტფილისს მისი მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესობა საქართველოს ეგზარხოსი ვლადიმერი.

⁂ შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით აკრძალულ იქმნა ამიერ-კავკასიიდგან საზღვარ გარედ თივისა და ჩალის გატანა. ამის შესახებ ბძანება მოუვიდა ამიერ-კავკასიის უფროსს და იმანაც განკარგულება მოახდინა, რომ ეს ბრძანება დაბეჭდილ იქმნას ცალკე ქაღალდზედ და გააკრან ამიერ-კავკასიის რკინის გზის სადგურზედ საყოველთაოდ საცნობადა-

⁂ ტფილისში განუზრახავთ დაარსება ახალ საზოგადოებისა, რომელსაც საგნად აქვს იზრუნოს ხალხის სწავლა-განათლებაზედ. ჩვენ მოგვივიდა ამ საზოგადოების წესდების პროექტი.

⁂ ბ-ნ გიორგი არეშიძეს ამ ოცი წლის წინეთ დაუწყია ქართულს ენაზე სხვა-და-სხვა სამეცნიერო წიგნების თარგმნა და დღევანდლამდე უთარგმნია წიგნები, რომელთათვის ქართული ტერმინოლოგიაც შეუმუშავებია.

⁂ საერო განათლების სამინისტროს განუზრახავს სახელოსნო სკოლებში ქსოვილების სწავლება შემოიღოს. ჯერ ამ ახალ საქმეს კავკასიაში დაიწყებენ. კავკასიის სწავლა-განათლების მზრუნველს უკვე უთხოვნია სამინისტროსათვის ნება, რომ ბათუმის სახელოსნო სკოლასთან საქსოვი განყოფილება დაარსდეს.

⁂ ჩვენის დრამატიულის კომიტეტის საზოგადო კრება ვერ იქნა, ვერაფრით ვერ შესდგა, თუმცა კომიტეტმა ისიც-კი გამოაცხადა, რომ ხელ-მეორედ კრებას ვნიშნავთ სამშაბათისათვის, 27 სექტემბრისათვის, და რამდენი წევრიც უნდა გამოცხადდეს, კრება შესდგებაო. როგორც შევიტყეთ, ეს კრება კომიტეტის-მიერ კვლავ გადადებულ იქმნა მომავალის კვირისათვის, რადგან თვით კომიტეტის წევრების მეტი არავინ გამოცხადებულა დანიშნულს ვადაზედ. რას უნდა მივაწეროთ ასეთი საქციელი დრამატიულ საზოგადოების წევრებისა: ჩვეულებრივს გულ-გრილობასა და დაუდევრობას, თუ სხვა რამ მიზეზს?..

⁂ მოსკოვიდგან გვწერენ, რომ ჟურნალ Русск. Мысль-ის ოქტომბრის წიგნში დაბეჭდილი იქმნება წერილი ბ-ნის ხახანაშვილისა ჩვენის სახელოვანის ბელეტრისტის ა. ყაზბეგის (მოჩხუბარიძის) შესახებ.

⁂ შაბათს, 2 ოქტომბერს, საღამოს $7^{1}/_{2}$ საათზედ, დანიშნულია კრება კავკასიის მკურნალთა საზოგადოებისა.

⁂ სამტრედია: 26 სექტემბერს ჩამოიყვანეს გურიიდან ოთხი ავაზაკი, რომელთაც, როგორც ამბობენ, მიუღიათ მონაწილეობა იმ საზიზღარ ავაზაკობაში, რომლის მსხვერპლიც შეიქმა ერთი ჟანდარმი ნიგოითის სადგურზედ. ეს კაცები არიან: ბოლქვაძე, გუჯაბიძე და ორნი გიგინეიშვილები.

⁂ ლანჩხუთი: 28 სექტემბერს, საღამოს 8 საათზე, 36 ვერსზე საქონლის მატარებელმა გასრისა ოზურგეთის მაზრის მცხოვრები მზესულა მენაღარიშვილი.

⁂

დამაკვირდი

—

დასასრული წყრომისა დასაწყისია შენანებისა.

პუბლილიუსი

**

ერთმანეთთან ომში ყოველი გამარჯვება დამარცხებაა.

ლუსენი

**

ერთს მამას უფრო ესიამოვნება ათი შვილი ჰკვებოს, ვიდრე ათ შვილს ერთის მამას გამოკვება.

სპრონგეთ

⁂

ხალხური ლექსი

(მეთვალყურეს-მიერ ჩაწერილი)

ამილახვრიანთ ბიჭს ჰგავხარ,
შე, ქალაჩუნა ფხვენელო:
მტერს ვერ დაუხვდი გულადად,
შე გვარის შემარცხვენელო!

⁂

კორესპონდენცია

—

ქიზიყი. წინა წლებში ჩვენი ქალები მრავალ სხვა-და-სხვა ხელ-საქმეებს მისდევდნენ. აბრეშუმის ჭიას ხომ თითქმის ყოველ ოჯახში ნახავდით: თავადი, აზნაური და გლეხი, ყველა დიდის ხალისით მიზდევდა ამ სასარგებლო საქმეს. ეხლა-კი აბრეშუმის ჭიას ვეღარსადა ნახავთ, ყველას გული აუცრუებია, არვიცით-კი რა მიზეზით? სხვაგან ყველგან სცდილობენ თანდათან გაავრ-

ფელეტონი

—

მსხვერპლი უკულმართობისა

(მოთხრობა)

(დასასრული. იხ. „ივერია“, № 208)

V

ჯერ ისევ რიჟრაჟი იყო, რომ ოთარის სახლის კიბეზე სიკომ საჩქაროდ ჩამოირბინა და ტყისაკენ გაეშურა... სიკო დღეს ხელ-ცარიელი არ იყო, მხარზე სანადირო თოფი ჰქონდა გადადებული და საზამთრულო ხალათის ჯიბეში თოფის წამალი და საფანტი ჰქონდა, ხელცახოცში შეხვეული. მზემ კარგა წამოიმაღლაურა... სიკო უთავბოლოდ დადიოდა ტყეში და წამდაუწუმ თოფის გრიალით შეაშფოთა და დააფრთხო ფრინველები. წამალი და საფანტი კარგა ბლომად დახარჯა, მაგრამ ნანადირევი-კი არა ჰქონდა-რა! მაგრამ განა ნადირობისათვის წამოვიდა სიკო? თოფის ხმით უნდოდა ეცნობებინა ტყისთვის თავისი იქ ყოფნა. მაგრამ მოსტყუვდა: ტყის სიჩუმე-კი შეირყა, მაგრამ ის, ვინც იყო სიკოს ტყისაკენ გამოწვევის მიზეზი, არსადა სჩანდა. სიკომ მონახა ნაცნობი ჩრდილი, თოფი ხეზე მიაყუდა და მწვანეზე წამოწვა. სიკო თვისდა უნებურად სოფლისაკენ გაიყურებოდა.

— იქნება აქ ტყეში ამცდა სადმე, ან სულაც დამემალა და შინ მიმავალს მაინც არი დავინახავო.

დიდხანს უცქერდა სიკო სოფლის გზას. უცებ თვალების ქუთუთოები დაეშო და ჩაეძინა. ცხადლივ თუ ვერ შეჰხვდა თამროს, ძილში მაინც არი დასტკბა იმის ცქერით. აგერ მძინარე სიკოს მოეპარა თამრო, გუშინ თუ ფეხი წამოსდო და ისე გააღვიძა, დღეს ჩუმად მიუახლოვდა, მარჯვენა ლოყაზე აკოცა და გამოაღვიძა... სიკო გიჟსავით წამოვარდა ზეზე... თვალები მოიფშვნიტა... ირგვლივ ჩუმი ტყე იყო და გრილი ნიავი სისინებდა! დაღონდა სიკო. როგორღაც მოწყვეტილმა აიღო თოფი და შინისაკენ გამოემგზავრა!.. მიდიოდა-კი, მაგრამ ფეხებს ძლივს მიათრევდა; გული ნაღველით ევსებოდა; მთელი დღე ისე გაატარა, რომ თამრო ვეღარა ჰნახა!..

— ვერ დამემალები ხვალ. ხვალ ვეღარა გნახავ, ხვალ ზევით სად წამიხვალ. ინუგეშებდა სიკო თავს.

—

ოთარმა მთელი ღამე მოუსვენრად გაატარა. თედოს ორიოდე სიტყვამ სიკოს შესახებ მთლად შეიპყრო, მერე როგორ! არა! განა ოთარი ისე დაეცა, ისე გაუყამირდა სვინიდისი, პატიოსნება, რომ ავაზაკობა ჩაიდინოს? და მერე ვის შესახებ? თავისისავე ღვიძლის ძმისწულის შესახებ, საკუთარი სისხლი და ხორცი უნდა დაჰღუპოს, მხოლოდ იმიტომ, რომ თავისი უბედურება გაასწოროს! მერე, სიკო რა დანაშაულია, რომ დღეს გზა-დაბნეულ ცხოვრების მსხვერპლი უნდა გახდეს!?. რაც უნდა მომივიდეს, ახია ჩემთვის, მაგრამ ჩემის სახლობისა რა ბრალია? სამს მსხვერპლს ერთი სჯობია!.. ამ ფიქრებში იყო მთელი ღამე ოთარი... ჯერ მზე არ ამოსულიყო, რომ დაბლა ეზოს ბაღჩაში თავ-ჩაღუნული ოთარი ნელის ნაბიჯით დადიოდა. სახე მთლად გაჰყვითლებოდა. ქვევითა ტუჩი მეტ-ხორცსავით ჩამოჰშვებოდა. უძილობისაგან მისი თვალები უსიცოცხლოდ გამოიყურებოდა. ოთარმა ბაღჩას ერთი-კი შემოუარა, გადიარა შუა ბაღჩაზე და მოწყვეტილ მოქანცულსავით დაეშვა სკამზე. ოთარი დაეყრდო მუხლებზე და ჩაჰკიდა თავი. საფეთქლები საშინლად უცემდა; უცებ დაუბნელდა თვალები და ქვითინი ამოუშვა. ბუნებით კეთილ ადამიანის გულ-წრფელ ცრემლებსა ჰღვრიდა ოთარი. მაგრამ უმანკო ცრემლმა ვერ გადიწმინდა დროთა ბრუნვისაგან მოკლებული ჟანგი იმის გარკინებულს გულს... ოთარმა უცნაურად გაიღიმა, როცა ბაღჩაში შემოსული იმისაკენ მიმავალი თედო დაინახა.

— აბა თედო, როგორა ხარ პირობაზე? ჰკითხა თედოს ოთარმა.

— თქვენის წყალობით, არა მიჰირს-რა, ბატონო!

— მერე აღარ იტყვი, როგორ აპირებ საქმის მოვლას?

— მე ვიცი, ბატონო!

— როგორ?

— ვიპოვე მაგის გზაცა; ამისთანა საქმე ბევრი მომხდარა, მაგრამ ჩაფარცხულა და ვერავის ვერა გაუგიარა. ნადირობა... გაუფრთხილებლობა, ხომ მოგეხსენებათ, წერაა ყოველივე...

— არ მესმის, რაღასაც გადასცემ.

— კვირას თავისუფალი ვარ, ბატონო, და სანადიროდ უნდა გიახლოთ.

— ძალიან კარგი! მერე?

— მერე, არაფერი.

— გაგიჟებულხარ.

ოთარი ფიქრმა წაიღო და პატარა ხანს უკან თითქო გამოფხიზლდაო, შუბლში შემოიკრა ხელი:

— ღმერთო, ეს რა უბედურებაა ჩემს თავს! ეს რა ფიქრები მომდის? სწორედ ჰკუაზედ ვიშლები.

— თქვენ რადა სწუხთ, ბატონო! რაც იქნება, იქნება!

VI

ტყუილად დადიოდა სიკო ყოველ დღე ტყეში... თამროს სად შეჰხვდებოდა, ის ხომ სიკოსავით უსაქმოდ არ იყო სოფლად... სიკო დღითიდღე უფრო და უფრო დაფიქრიანდა, დაღონდა!

— იქნება ვეღარც-კი ვნახო! ჰფიქრობდა სიკო! სოფლადაც რომ ვნახო, მერე რა! ისე თავისუფლად როგორ შევიძლებ იმასთან ლაპარაკს... ნუ თუ მომატყუა, ხშირად დავდი-

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ცელონ ეს საქმე, ასწავლონ ხალხს აბრეშუმის კეთება, და ჩვენში-კი ვინც იცოდა, იმანაც თავი დაანება. ზოგიერთ ქვეყნებში თუთის ხე იმდონი არც-კი არის, რომ ჭიას საჭმელად ეყოს: სთესენ, რგავენ და დიდის ჯაფით აშენებენ თუთის ხეს და ბევრნი სხვაგან ჰყიდულობენ ფოთოლს და აჭმევენ ჭიას. ჩვენში ხომ ასე არ არის. თუთის ხეც ბევრია და, ოღონდ ჭია მოიყვანონ, თორემ რამდენიც უნდათ, უსასყიდლოდ იშოვნიან ფოთოლს: ყველას ეზო-ბოსტანვენახებში ტყეებსავით გამრავლებულია თუთის ხე.

სხვებისა-კი რა მოგახსენოთ და ზოგიერთი ჩვენი ქიზიყელი დედა-კაცი თავის სახლში გარჯასა და მხნეობას ისევ გარე წანწალს არჩევს; თავს ანებებს სახლსა და კარს და ზურგით ეზიდება ჭირნახულს სოფლებიდამ სიღნაღში. მივა ბაზარში და დილიდგან საღამომდის იქ ალამებს, რა არის, სულ ორისა ან სამი შაურისა გაჰყიდოს რამე: ყურძენი, გამომცხვარი პური, ქათამი, კვერცხი, ლობიო, ხახვი, ნიორი, ბოლოკი და სხვ.

ვაჭრობა განა ურიგო არის, ვინ ამბობს, მაგრამ, საქმე იმაშია, რომ ვაჭრობა სარგებლობისა იყოს, და არა ზარალისა. ისე დაჩვეულან ყოველ დღე ბაზრებში სიარულს, რომ სახლში რაც უნდა უკეთესი საქმე ჰქონდეთ, მაინც დაანებებენ თავს დ რასაც მოახელებენ, ყველაფერს გასასყიდად გაარბევინებენ. გარდა იმისა რაც თავიანთთვის მეტია მოჭარბებული, გამოაქვთ ისიც-კი, რაც თავიანთვისაც აუცილებლად საჭიროა და ბოლოს თითონვე უნდა იყიდონ ჩალის ფასად გაყიდული ერთი ათად. ასეთი საქციელი ოჯახის ბარაქის გამომლეველია.

ამ რიგად ჯან-მრთელი დედაკაცი ორიოდე გამომცხვარ პურის გაყიდვაზედ მთელი დღე სცდება. ის არა სჯობია ეს დრო თავის ოჯახს მოახმაროს და ის უფრო სახეირო არ იქნება, შინ აიჩინოს რაიმე საქმე, აბრეშუმის კეთება თუ სხვა, რაც უფრო ეხერხება?

შ. ი. ვ.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

სახელმწიფო ქონებათა და მეურნეობის მინისტრის მოგზაურობამ და მისმა სიტყვამ ძალიან დააიმედა მემამულეები. მინისტრმა სთქვა: „რუსეთის მეურნეობის წარმატება ეჭვგარეშეა, თუ ჩვენ შევაერთებთ საჭირო შრომასა და ცოდნას“.

დიაღ, შეერთებული ძალა შრომისა და ცოდნისა ბევრად წინ წასწევს მეურნეობას,—ამბობს გაზეთი Нов. Время. ხოლო საქმე ის არის და უმთავრესი საკითხთაგანიც ისაა—სად ვიშოვოთ ცოდნა, რომელიც აუცილებლად საჭიროა მეურნეობის წარმატებისათვის? გაგვიგონია: „რუსეთში უფრო ადვილია ათის ნიჭიერ მინისტრის შოვნა, ვიდრე ერთის კარგის მამასახლისისაო“. ეს აზრი რასაკვირველია გადაჭარბებულია, გაზვიადებული, ხოლო ის-კი ჭეშმარიტია, რომ ჩვენ სახელმწიფო მოღვაწეთა აღსაზრდელად და შესამზადებლად უფრო მეტი საშვალება გვაქვს, ვიდრე კარგის, მეურნეობაში დახელოვნებულ მუშის შემზადებისათვის. მთელს რუსეთში მხოლოდ სამი უმაღლესი სამეურნეო სკოლაა, ათიოდე საშვალო და ცოტა მეტი დაბალი. ამ მცირე სკოლებით რა უნდა გავეთდეს?

**

გაზეთ Свѣтъ-ის რედაქტორი კამაროვი იწერება გერმანიიდგან:

აქ არავის სჯერა, რომ რუსეთი ომს დაიწყებს. ყოველთვის, როცა რუსეთი საფრანგეთის მხრისკენ ერთს ნაბიჯს გადასდგამს, ასევე ექცევა ხოლმე გერმანიასაც. ეხლაც რუსეთის ფლოტი უმეგობრდება ფრანგებს, ხოლო გრაფის პარიჟელისა და ჰერცოგის ორლეანის კოპენჰაგენში კარგა დახვედრით ცივს წყალს ასხამენ საფრანგეთის მთავრობას.

გერმანიის მეურნეობის შესახებ კომაროვი სწერს:

რუსისთვის ყოველთვის დიდად საწყინო უნდა იყოს, როცა ხედავს, რა მაღლა სდგას გერმანიის კულტურა და კეთილ დღეობა. გადავა კაცი თუ არა გერმანიის საზღვარს, თვალ-წინ გადეშლება ჩინებული მინდვრები, ველები, ხედავს ყველა სოფლებში მშვენიერს გზა-ტკეცილს, კარგს ხიდებს... ვერსად გერმანიაში ვერ შეხვდებით ისეთს ტალახსა და ბინძურობას, რომელიც ყოველ ზაფხულსა სუფევს რუსეთის სოფლებში. რაც მეტ გზას გაივლი გერმანიაში, იმდენად დაგიხვდებათ მშვენივრად შემუშავებული ველები, ლამაზი ქალაქები და სოფლები და იმდენად უკეთესია მცხოვრებთა კეთილდღეობა. რა თქმა უნდა, იქაც არის სიღარიბე, იქაც არიან უბედურნი და ბედისაგან დაჩაგრულნი, მაგრამ ეს უბედურნი მოშორებით სადმე უნდა ეძებო, სადაც სიცოცხლე არა სდუღს. ბერლინიდგან კელნამდე, ჰანოვერზედ, მინდენზედ, ჰამნზედ, დორტმუნზედ, ბილეფელდზედ, ესსენზედ და დისბახზედ უღრუბლო დღეს თვალ-წინ გამიარა მთელმა ჩრდილოგერმანიამ, თავის ჩინებულ ველებით, მშვენიერის გზებით, მდიდრულისა და ლამაზის შენობებით და ქარხნების სიმრავლით.

ყველგან სიცოცხლე სდუღს და გადმოდის, შრომობენ ჩუმად, წყნარად, მაგრამ მხნედ და გამუდმებით.

რუსეთი

ამას წინად სარატოვის საბჭოში ქალაქის მოურავმა მიიხმო ვაჭრები და ნოქრები და მოლაპარაკება ჰქონდა შესახებ იმისა, რომ კვირა-უქმე დღეს ვაჭართ ვაჭრობა აეკრძალოსო. თითქმის ყველა ვაჭრები დასთანხმდნენ, რომ კვირა-უქმე დღეს მთელის წლის განმავლობაში ვაჭრობა მოისპოსო. კრებამ გადასწყვიტა: 1) სასურველია, კვირა-უქმე დღეს ვაჭრობა არ იყოს.

2) თუ ვინიცობაა შეუძლებელი იქმნა კვირა-უქმე დღეს ვაჭრობის სრულიად აკრძალვა, მხოლოდ შემდეგ საათებში იყოს ვაჭრობა: ა) ყასბებისა, რძისა, მწვანეულობისა დუქნებში და ფურნებში დილის 5 საათიდგან 8 საათამდე; ბ) ყველა დანარჩენ დუქნებს ვაჭრობის ნება მიეცეთ მხოლოდ 12 საათიდგან 2 საათამდე და გ) მოტანილ საქონლის გაყიდვა კვირა-უქმე დღეს სრულიად იქმნას აკრძალული.

—

Моск. Вѣд.-ის ერთი კორესპონდენტი სჩივის, რომ გარუსების საქმე რიგაში უკუღმა დატრიალდაო და სხვათა შორის ამბობს:

არა ერთი ჩვენგან ომით დაპყრობილი ადგილი დავუბრუნეთ მტერს, ხოლო ახალ ადგილების დაპყრობაზედ როგორღაც გადავეჩვიეთ ლაპარაკს. ცხოვრება ისეთს ქალაქში, როგორიც რიგაა, არ იცდის, მოუსვენრად თავ-გადაგლეჯილი მირბის და უძლურს უკანა სტოვებს. უძლურნი რუსეთის მოხელენი არიან, რომელთაც მთავრობისაგან რეფორმების შემოღება აქვთ მინდობილი და უწინარეს—ადმინისტრაცია, რომელიც ცხოვრებას განუწყვეტლივ უნდა ადევნებდეს თვალყურს. ისინი-კი არამც თუ არა გრძნობენ თვის უძლურებას, არამედ განცხრომაში არიან: ჩვენ ისიც გავაკეთეთ, ესეც შევასრულეთო და კმარაო. ხოლო საქმეში რომ ჩაიხედავ, დარწმუნდები, რომ ოცნებას გაუტაცნიათ: ან არა გაკეთებულა-რა და ან თუ გაკეთებულა, მხოლოდ მაშინ, როცა რეფორმები დაიწყეს. და ესეც თანდათან ხელიდგან გვეცლება, ისე რომ ხელახლად უნდა ომით დავიპყროთ, რაც უკვე ჩვენ გვეკუთვნოდა.

შემდეგ კორესპონდენტი იმაზედ ლაპარაკობს, რომ ყველაფერი ისევ გერმანელთა სურვილისამებრ კეთდებაო: პოლიციის მოხელემ უთუოდ უნდა იცოდეს გერმანული ენა, მოხელენიც მომეტებულ ნაწილად ადგილობრივი მკვიდრნი არიან, რომელნიც მთლად რუსეთს თუ არა, რუსეთის მთავრობის განკარგებას და რეფორმებს ეწინააღმდეგებიანო და სხვ.

—

გაზეთ Нов. Врем.-ში დაბეჭდილია შემდეგი საყურადღებო წერილი. ავტორი წერილისა, როგორც თითონ ამბობს, მასწავლებლად ყოფილა და, რასაკვირველია, თვითონვე კარგადა აქვს გამოცდილი მწარე მდგომარეობა მასწავლებლისა. იგი ამბობს:

„ამ ჟამად ლაპარაკი ჩამოაგდეს სხვა და სამსახურის მოხელეების გაჭირვებაზედ. ამიტომ ჩვენც მოვალეებად მიგვაჩნია ჩვენის მხრივ, მოვაგონოთ საზოგადოებას გაჭირვებული მდგომარეობა იმ ხალხისა, რომელთაც აბარია ჩვენის შვილების სწავლა-განათლება—მდგომარეობა გიმნაზიის მასწავლებელთა და უნივერსიტეტის ზოგიერ პროფესორთა.

ამბობენ, კანცელარიების მოხელეთ ძლიერ უჭირდებათ ცხოვრება, წელიწადში 1,800 მანათის ჯამაგირითაო. მასწავლებელთა უმეტესს ნაწილს ამდენიცა არა აქვს ჯამაგირი. საზოგადოდ მასწავლებლებს აძლევენ 1,500 ან 1,200 მანათს წელიწადში. არიან ისეთებიც, რომელთაც 960 ან კიდევ 720 მანათზედ მეტი არ ეძლევათ. ეს ჩემს თავზედა მაქვს გამოცდილი. როცა ოთხმოც წლებში რუსეთის ერთ-ერთს სატახტო ქალაქის ერთს გიმნაზიაში რუსულის ენის მასწავლებლად ვიყავი, უფროსს კლასებში (VIII, VII, VI), ჯამაგირად მეძლეოდა (მგონია ამას მასწავლებლის მეტი არავინ დაიჯერებს), წელიწადში სულ 460 მანათი (ამ ფულში ითვლებოდა ის 100 მანათიც, რომელიც მეძლეოდა რვეულების გასასწორებლად). სამი წელიწადი ვიმსახურე და ჩემი შემოსავალი ძლივს ავწიე 1,500 მანათამდე; და ამისთვის იძულებული ვიყავ მეძლია გაკვეთილები სამ სასწავლებელში, რომლებიც ყველანი ქალაქის განაპირას იყვნენ. ამაზედ მეტს ველარას გავხდი. ასეთი შემთხვევა, მგონია, იშვიათი არ არის. ეხლაც ერთს ჩემს ამხანაგს, ფილოლოგიის ფაკულტეტის კანდიდატს, ცოლ-შვილიან კაცსა, თთვეში სულ 80 მანათი ჯამაგირი აქვს და დაბალ კლასში სხვათა შორის წერასაც ასწავლის. ასეთს მაგალითებს, თუ გნებავთ ათასობით წარმოგიდგენთ.

პროვინციების უნივერსიტეტის პროფესორ-ფილოლოგების მდგომარეობა ცოტათი უკეთესია. წელიწადში ჯამაგირადა აქვს 2,000 მან. და 2-დგან 200 მანათამდე კიდევ—ლექციების მსმენელთაგან. მოდი და ამ ფულით ცოლ-შვილიც შეინახე და წიგნებიც იყიდე! რამდენადაც ვიცი, ხაზინა თითო პროფესორს წელიწადში 100 მანათზედ მეტს არ აძლევს. და ვინ არ იცის, რომ პროფესორი უწიგნოდ იგივეა, რაც კანცელარიის მოხელე უქაღალდოდ, უკალმოდ და უმელნოდ. „სადმე ყაზანში, როგორც ეწერა Нов. Врем.-ში, იქნება წელიწადში 2000 მანათად კარგად იცხოვროს ადამიანმა, მაგრამ ოდესასა, კიევსა, ან ხარკოვში ძნელად რომ ცოლ-შვილიანმა მოხელემ ამ ჯამაგირით ცხოვრება მოახერხოს.

ამბობენ, კანცელარიების მოხელეთ საჩუქრები ეძლევათო. მასწავლებლებს არავითარ საჩუქრებს არ აძლევენ; მათ საჩუქრად ხვდებათ ხოლმე საყვედური მშობელთა და ნათესავთა, ჩვენს შვილებს კარგად არ ექ-

---

ვერ ტყეშიო? ან იქნება ეხლა იმიტომ აღარ დადის, რომ ჩემი შეხვედრა არ უნდა?

რა იცოდა სიკომ, რომ თამრო იმაზე უარეს ყოფაში იყო! თამრო მოუთმენლად ელოდა კვირა დილას, რომ ტყისაკენ გაეარნა—თავისუფლად ამოესუნთქა და ენახა ის, ვინც ცხადლივ და ძილში არ შორდებოდა.

საღამო ხანი იყო, სიკო დღეს ჩვეულებაზე ადრე დაბრუნდა ნადირობიდამ. თოფი მსახურს მისცა სახლში შესატანად და თითონ ბაღჩაში შევიდა. სიკო დაფიქრებული იჯდა ბაღჩის ბოლოს სკამზე, რომ კეკე მიუახლოვდა ღიმილით და ჰკითხა.

— სიკო! ეს ორი დღეა დაღონებული ხარ, რა ამბავია? ავად ხომ არა ხარ და არაფერს-კი ამბობ?

— ავად-კი არა ვარ, მაგრამ მეც არ ვიცი, რა დამემართა! მგონია ტფილისში წასვლის დროს მოახლოვებაა მიზეზი!

— აბა, რადა სტყუი, სიკო: შენა და ტფილისში წასვლა გეზარება?

სიკომ პასუხი აღარ მისცა. მცირე სიჩუმის შემდეგ კეკემ ტაში შემოჰკრა და მიუბრუნდა სიკოს!

— მართლა, სიკო, რამდენი ხანია უნდა მეთქვა და დრო ვერ ჩავიგდე! შენ სულ სანადიროდ დასდიხარ და!...

— რა უნდა გეთქვა?

— წასრულ კვირას ეკკლესიაში ერთი ისეთი ლამაზი ქალი ვნახე რომ...

— ვინ იყო?

— მეც მეოცა რომ დავინახე! დედას ვკითხე და მითხრა, „ჩვენ სოფელში ერთის აზნაურის ქვრივი სცხოვრობს და იმისი ქალიაო“. თურმე ტფილისში ყოფილა სასწავლებელში და, სულ ერთი წელიწადია, რაც სოფლად მოუყვანიათ. მერე უნდა გენახა სიკო, რა გულ-მოდგინედ ლოცულობდა თამრო!

— როგორ! განა იმ ქალს თამრო ჰქვიან? უნებლიედ წამოიძახა სიკომ. სიკოს გულმა თითქო იგრძნო, რომ კეკეს ნანახი ქალი უეჭველად იმის ტყის ქალი იყო.

— ჰო! ესეც იქვე შევიტყე, მაგრამ შენ რად გაგიკვირდა? იქნება იცნობ იმ ქალს და მიმალვიდი?

— აბა, შენგან არ მიკვირს! შენ კარგად იცი, რომ მე სოფლად არ დავდივარ და საიდამ გავიცნობდი!

სიკომ თავი ჩაჰკიდა, თითქო ცდილობს სახემ არ გამცესო.

— ეგ-კი მართალია! თითონ ის ქალიც თურმე სოფლად არსად დადის. სულ შინ არის და ოჯახის საქმეშია გართული. თუ თავისუფალი დრო აქვს თურმე, მეზობლის გოგოებს წერა-კითხვას და ჭრა-კერვას ასწავლის!

— ეგრე დაწვრილებით საიდამ შეიტყე იმის ვინაობა?

— ჩვენმა პურის მცხობელმა დედა-კაცმა მიამბო. იმათ მეზობლადა სცხოვრობს თურმე აზნაურის ქვრივი, იმ ქალის დედა.

— მაშ თითონაც კარგად იქნება ნასწავლი, თუ-კი სხვის სწავლება შესძლებია!

— რასაკვირველია! წელანაც არ გითხარი ტფილისში ჰყოლიათ სასწავლებელში და, მამა რომ მოჰკვდომია, დედას გამოუყვანია სასწავლებლიდამ. ბიძაშვილთ ლაპარაკი მსახურმა შეაწყვეტინა: ქალ-ბატონი გეძახით, სამოვარი გაუცივდა, ჩაი მიირთვითო...

სიკოს გულში გაჩენილი ცეცხლი კეკეს ლაპარაკმა უფრო ძრიელ აანთო. სიკომ თამროს ვინაობა შეიტყო, შეიტყო იმისი ცხოვრება. ეხლაკი მიჰხვდა, თუ რა მიზეზი აბრკოლებდა თამროს და ტყეში აღარა სჩანდა. „მაშ კვირას უეჭველია შევხვდები! კვირაობითაც ხომ არ ისაქმებს,“ გაიფიქრა სიკომ, სახე გაუბრწყინდა და რაღაც ნეტარის სიამოვნებით აევსო გული. ამ ნეტარმა სიამოვნებამ სუყველაფერი დაავიწყა. ეხლა სიკო იმის ლოდინში იყო, როდის დაღამდებოდა და კვირა დილა როდის გათენდებოდა...

VII

წინაღამის ჟუჟუნა წვიმამ ზაფხულის სიცხისაგან გაყვითლებული არემარე მთლად გადაახალისა. ბუნება თითქო გაახალგაზდებულიყო. მოლიმარის ელფერი ედო და დილის მზის სხივებს ეარშიყებოდა. მინდორ-ბარს ტყეც არ ჩამორჩომოდა, წვიმამ ტყესაც სიცოცხლის სული ჩაჰბერა და შებურულ-შემტვერებული სახე გადარეცხა...

ჯერ ისევ დილა იყო, რომ სიკო და თედო სანადიროდ გამოვიდნენ.

—ნამიანი ბალახი ნადირს მინდვრად გამოიყვანს, ეუბნებოდა თედო სიკოს.

— მაშ ხელ-ცარიელები არ დავბრუნდებით.

— თქვენგან არ მიკვირს!..

კარგა სასოფლო შუადღემდის მონადირეთ უთავბოლოდ იარეს ტყეში. სიკომ მხოლოდ ერთი კურდღელი მოჰკლა! თედომ რამდენიმე კურდღელი და ერთი ხოხობი მოჰკლა და ისე გაიზიდა ნადირობამ, რომ უნებლიედ გაშორდა სიკოს. სიკომ იხელთა თავისუფალი დრო და ნაცნობი ჩრდილი მოჰნახა. მოკლული კურდღელი მუხის ძირში დააგდო, თოფი ხეზე მიაყუდა და თითონ მწვანეზე წამოწვა.

მშვენიერმა ამინდმა თამროც ტყისაკენ გამოიტყუა. თამრო მოდიოდა, მაგრამ წინანდელი სიმშვიდე აღარ ეტყობოდა; ტყეს გულის ცახცახით უახლოვდებოდა. ტყეში შესვლისათანავე შეშინებულ ნადირსავით მიიხედ-მოიხედა. რაკი ტყეში ჩვეულებრივი სიჩუმე იყო, თამრომ გაბედვით წასდგა ფეხი. მცირე ხანს უაზროდ მიიარ-მოიარა და რაკი არავინ შეჰხვდა, როგორღაც დაღონდა. დაფიქრებული თამრო თავისდა უნებურად ნაცნობ ჩრდილს მიუახლოვდა. კიდევ ოცი ნაბიჯი და თამრო იმის გვერდით იქნებოდა, ვინც მთელი კვირაა მოსვენებას არ აძლევდა.—„არა, არ მივალ!“ გადასწყვიტა თამრომ და შესდგა. თამრომ მწვანეზედ წამოწოლილი დაი-

ცვეიანო—და კიდევ ცირკულიარები, სადაცა სწერია: მასწავლებელი მოვალეა კარგად იცოდეს თავისი საქმე, შეგნებული ჰქონდეს თავისი მოვალეობა და მუყაითი იყოს საქმისა.

მე გიმნაზიის მასწავლებლად ვიყავი. კარგად ვიცი, რამდენად ძნელია ამ ცირკულიარის პირნათლად ასრულება იმ მასწავლებლისთვის, რომელიც დღე-ყოველ იძულებულია დაუღალავად ეცადოს, ორიოდ გროში იშოვოს კერძო გაკვეთილებით და მით ერთი ლუკმა მოიპოვოს თავისთვისა და ცოლშვილისათვის.

პროფესორ-ფილოლოგების შესახებ მხოლოდ იმიტომ ვსთქვი, რომ ეს სურათი სრული ყოფილიყო. ეს ხალხი, რასაკვირველია, იმდენად განვითარებულია, რომ კარგადა აქვს შეგნებული შემდეგი სიტყვები „არა პურითა მარტო ცხონდების ადამიანი“.

◆◆

უცხოეთი

ავსტრი-უნგრეთი. უნგართა ოპოზიცია აპირობს ლაპარაკი ასტეხოს პარლამენტში იმ სიტყვის გამო, რომელიც ავსტრიის იმპერატორმა წარმოსთქვა ჰუნსში. ოპოზიციელნი შეერთებულის ძალით დაუწყობენ ბრძოლას კლერიკალებს. უნგართა ოპოზიციის აზრით, მინისტრ-პრეზიდენტ ვეკერლეს ბრალია, რომ იმპერატორმა მდიართა საწყენი სიტყვა წარმოსთქვა.

—

საფრანგეთი. Atuorité-ში დაბეჭდილია პასუხი კასანიაკისა იმ წერილის გამო, რომელიც დაჰბეჭდა Figaro-მ კასანიაკის შესახებ. კასანიაკი სწერს სხვათა შორის: Figaro-ში დაბეჭდილ წერილის ავტორი ძლიერა სწუხს, რომ არჩევანებზედ დავმარცხდი. ვურჩევ ამ წერილის ავტორს, გული დაიშვიდოს. მე დამარცხება მირჩევნია, ვიდრე დეპუტატად ყოფნა... პალატის დეპუტატობა მე ისეთ დიდ საქმედ არ მიმაჩნია, რომ ღირდეს თავის შერცხვენად. Figaro-ს წერილის ავტორი პირფერობით ამბობს: მე ჩემის მხრივ თეთრს კენჭს მივცემდი კასანიაკს, რადგანაც იგი რადიკალებს არაოდეს არ მიემხრობოდაო“. მაგრამ ყველამ კარგად იცის, რომ ამ წერილის ავტორის თანამოაზრენი მირანდის ოლქში ყველანი რადიკალებს მიემხრნენ, მაშინ როდესაც არც ერთი „შეერთებული“ არ იქმნებოდა არჩეული, მონარქისტები რომ არ დახმარებოდნენ; ეს ნათლად ამტკიცებს, რომ ჩვენ უფრო პატიოსნად მოვიქეცით, ვიდრე „შეერთებულნი“. დიახ, მე ძლიერ სასტიკად მოვექეცი „შეერთებულებს“, რომელნიც ჩემი ამხანაგები იყვნენ პალატაში, და სრულიადაც არა ვნანობ, რომ სასტიკად ვოვექეცი. ეს დეპუტატები მონარქისტებმა მონარქიის საქმისთვისვე აირჩიეს, და მათ-კი უღალატეს თავის საქმეს, რწმენას, სინდისს და მიემხრნენ იმ რესპუბლიკას, რომლის წინააღმდეგ ბრძოლა შემოგვფიცეს და რომელსაც განადგურებას ემუქრებოდნენ. სინიდისიერად მოქცევა რომ სდომებოდათ, ახალი პროგრამა უნდა გამოეცხადებინათ. ვიმეორებ, ისინი მოღალატენი არიან, რადგანაც ამომრჩეველთა ნება დაურთველად არავითარი უფლება არა ჰქონდათ თავიანთი პოლიტიკა შეეცვალათ. სულ სხვაა „შეერთებულ“ დეპუტატთა საქმეს ვაჟბატონები მზად არიან უარ-ყონ თავიანთი გრძნობა და აზრი, ოღონდ-კი რესპუბლიკამ ერთი ბეწო თავისუფლება მოგვანიჭოსო. მე კარგად ვიცი, რა საცოდავნი არიან „შეერთებულნი და ამიტომ [illegible] მირჩევნია პალატაში არ ვიყო და არ ვუყურო მათ დამცირებას.“

—

პრაგის კორესპონდენტი Temps-ისა იუწყება, რომ გრაფმა ტააფემ მიჰმართა რიგერს და სთხოვა, ძველი ჩეხები ისევ გამოვიდნენ საპოლიტიკო ასპარეზზედ და ამით ახალ-ჩეხები შეასუსტონო. რიგერმა მოახსენა, ბატონი ბრძანდებითო, მხოლოდ ერთის პირობით-კი ავასრულებ თქვენს სურვილს: ბოჰემიის პროვინციებში ჩეხური ენა ოფიციალურად იქმნას აღიარებულიო. რა თქმა უნდა, ტააფე ამაზედ არ დასთანხმდა და ამ საქმეზედ მოლაპარაკება მოისპო.

—

დანია. პარიჟის გრაფი ორლეანი, როგორც გაზეთები ამბობენ, იმისათვის წასულა ფრედენსბორგში, რომ იმის ქალს ელენეს ნიშნავს დანიის მემკვიდრე პრინცი ქრისტიანე. ნიშნობის ამბავი მალე გამოცხადდება.

◆◆

თეატრის მატიანე

—

სამშაბათს, ვ. ლ. ფორკატის მიერ შეკრებილმა საოპერო დასმა დაიწყო წარმოდგენები საზაფხულო თეატრში. სეზონის დასაწყებად დასმა ჰირჩია ცნობილი ოპერა „აიდა“, ვერდისა.

თეატრი სავსე იყო საზოგადოებით, მღელვარებით მოელოდა ოპერის დაწყებას, რადგან კაი ხანია ტფილისში რიგიანი ოპერა აღარ ყოფილა და მაყურებელთ მოუთმენლობა ეტყობოდა.

ორკესტრს განაგებს ი. ა. ტრუფფი, რომელსაც ტფილისის საზოგადოება დიდი ხანია იცნობს.—მისი გამგეობა ორკესტრისა გარანტიაა, რომ საქმე კარგად წავაო!—გაისმოდა.

მართლაც გამოჩნდა თუ არა ბ-ნი ტრუფფი, საზოგადოებამ ტაშის ცემა დაიწყო და დიდხანს არ შეწყვეტილა. ტრუფფის მიართვეს დაფნის გვირგვინი.

თვით ოპერის წარმოდგენამ რიგიანად ჩაიარა. დასი კარგად არის გაწვრთნილი და სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს მსმენელზე. მომეტებული ყურადღება საზოგადოებისა დაიმსახურა ქ-ნმა სნარსკიმ, რომელიც აიდის როლს თამაშობდა. რადამესის როლის ამსრულებელს, ბ-ნ დევიკლერს, პატარა, მაგრამ სუფთა ხმა აქვს. მისი ხმა უფრო შეეფერება იმისთანა როლს, როგორიცაა ფაუსტი.

სასიამოვნო საყურებელი იყო ხორები, როგორც ქალთა, ისე კაცთა. ასე გაწვრთნილი და მწყობრად მომღერალი ხორო დიდი ხანია არ გვინახამს ტფილისში. აი სწორედ აქა სჩანს მომეტებულად ბ-ნ ტრუფფის ნამუშავარი.

◆◆

ბიბლიოგრაფია

—

Справочная книга о законахъ, для крестьянина. М. Лозинскаго и Д. Протопопова. 1893 г., цѣна 15 коп.

რუსეთის იმპერიაში არავის შეუძლიან სთქვას, კანონი არ ვიცოდიო. მაგრამ მთელს რუსეთში, იურისტთა გარდა, კანონები კარგად არავინ იცის. განათლებულ კაცებისთვის კიდევ არის ბიბლიოთეკები, წიგნის მაღაზიები და მცოდნე კაცები. გლეხი კაცი ყველა ამას მოკლებულია. ზემოხსენებულ წიგნში მოთავსებულია გლეხ-კაცისთვის ფრიად სასარგებლო ცნობა კანონებისა და სამართლის შესახებ.

◆◆

უცხოეთის წვრილი ამბავი

—

საერთაშორისო ტელეგრაფის ლექსიკონი. ბერნში იბეჭდება ახალი სადეპეშო ლექსიკონი. ლექსიკონში სულ 24,000 სიტყვა იქმნება და ყველას შეუძლიან ამ სიტყვებს თავისი მნიშვნელობა მისცეს ისე, რომ იმის მეტი და ვისაც ის თავის საიდუმლოს განუზიარებს, სხვას დეპეშის შინაარსის გაგება არ შეეძლება.

**

მხეცთა ჩხუბი ჩიკაგოში. ერთს ცირკში უნდა წაეჩხუბებინათ 2 დათვი, 3 ვეფხი და 1 ლომი. ერთი დათვი და ერთი ვეფხი ეცნენ ერთმანერთს და ორივენი დაეცნენ დაჭრილნი. ორი ვეფხი დაეცა ლომს. ლომმა ფიცხლად მოჰკლა ერთი ვეფხი, მეორე ვეფხიც დასჭრა და დათვს ეცა. მხეცების პატრონს უნდოდა გაეშველებინა და წკეპლა გადაჰკრა ორთავეს. მხეცებმა ერთმანერთს თავი ანებეს და ეცნენ პატრონს. გამოცვივდნენ საჩქაროდ მოსამსახურენი და გახურებულის შამფურებით გააგდებინეს პატრონი გაშმაგებულ მხეცებს. მაყურებელთა შორის ისეთი აღიაქოთი ასტყდა, რომ რამდენიმე ქალი და ბავში დაშავდა.

◆◆

სამეცნიერო ნაწილი

—

26 დეკემბერს პეტერბურგში დაიწყობა მკურნალთა კრება განსვენებულ ნ. ი. პიროგოვის სახელის სახსოვრად. კრება რამდენსამე დღეს გასტანს. გამგეობა კრებისა ეხლავე უგზავნის წევრთ კრების პროგრამას. კრებაზედ სხვათა შორის რეფერატს წაიკითხავს ა. თ. კონი—მკურნალ-ექსპერტის უფლების შესახებ სასამართლოში; ფ. ერგარდტი—რამდენსამე რეფერატს, ი. ვ. ბერტენსონი—სამკურნალო საიდუმლოს შესახებ და სხვ.

◆◆

დეპეშა

28 სექტემბერი

პეტერბური. საკანონმდებლო განყოფილების მთავარ-მართებლად ყოფილს ფრიშს უმაღლესი მადლობა გამოეცხადა; ფრიშის თანაშემწედ ყოფილი მარკუსი დანიშნულ იქმნა სახელმწიფო საბჭოს წევრად.

რუსეთის საბალოსნო საზოგადოების მფარველის განსვენებულის დიდის მთავარის ნიკოლოოზ ნიკოლოოზის ძის (უფროსის) სახსოვრად დაარსებულ იქმნა პრემია მის უმაღლესობის სახელობაზედ. პრემიად იქნება ოქროს მედალი, რომელიც მიეცემა საბალოსნოს შესახებ საუკეთესო სამეცნიერო თხზულების ავტორს.

„რუსალკა“-ზედ დაღუპულ ზღვაოსანთა ოჯახების სასარგებლოდ შესწირეს: დიდმა მთავრინამ ალექსანდრა იოსების ასულმა—2,000 მანათი, საბერძნეთის დედოფალმა—1,000 მ. დიდმა მთავარმა კონსტანტინე კონსტანტინეს ძემ მეუღლითურთ—1,500 მან. და დიდმა მთავარმა დიმიტრიმ კონსტანტინეს ძემ—1,000 მან.

გაზეთი Бирж. Вѣд. იუწყება, რომ რუსეთის სავაჭრო და საკომისიო გაკოტრებულ ბანკის დირექტორის თანაშემწეთ ყოფილი მ. ფ. ციონი დაპატიმრებულ იქმნა.

29 სექტემბერი

რიგა. ზღვის ნაპირს, ბილდერლინგსჰოფის ახლო, 26 სექტემბერს იპოვნეს ღვინის ბოთლი, გრძელის პროპკით პირდაცული, ხოლო დაუ-

---

ნახა. შავი თვალები, მცირედ დაშვებული გრძელი წამწამები და შავი ხუჭუჭი თმა საკმარი იყო, რომ თამროს ეცნო ის, ვისკენაც მიისწრაფოდა იმისი გული. სიკო გაშტერებული გაიყურებოდა სოფლის გზისკენ და ისე იყო გართული ფიქრებში, რომ მახლობლად ფეხის ხმა სრულიად არ შეუტყვია. თამრო იქვე ბუჩქნას მოეფარა და იქიდამ დაუწყო სიკოს ცქერა, მაგრამ დიდხანს არ გასტანა მისმა ჩასაფრებამ...

შორიდამ თედოს თოფის ხმამ შეახტუნა თამრო და თავისდა უნებურად წამოიყვირა: ვაიო! ამ ხმამ სიკოც გამოარკვია და ბუჩქისაკენ გაექანა. გადაეხვია თამროს, ჩაიკრა გულში და ნეტარმა გრძნობამ შთანთქა ორივენი.

იმათ მახლობლად ბუჩქნარში მოარშიყე ბულბულმაც თითქო იგრძნო ამათი გულის ძგერა და თავის სატრფო ყვავილს მინაზებით უწყო ტრფიალი... ვინ გადაეხვია პირველი, როგორ მოხდა რომ თამრო და სიკო ერთმანეთს ჩაეკვრნენ... ძნელი გამოსაცნობია ეს ისე მოულოდნელად, ისე უცებ მოხდა, რომ არც ერთი იმის გამოძიებაში არ შესულა, ნება ქვაქვს თუ არა ასეთ ქცევისათ. ან რა დროს ფიქრი როცა წმინდა გრძნობა ურთიერთში სიყვარულისა ბატონობას ის და ჰქვა-გონებას იმორჩილებს. ცბად მოისმა თედოს ფეხის ხმა და ორივენი გამოერკვნენ თავ-დავიწყებან. თამრო ძალა-მიხდილი, გაჰქვავებული იქვე ბუჩქნარის ძირში იდგა. სიკო თოფისაკენ გამოტრიალდა მივიდა, თოფს წაავლო ხელი სწორედ ამ დროს დაიგრიალა [illegible] თოფმა. სიკომ საშინლად შეჰკივლა და თოფით ხელში გულაღმა დაეცა... სიკოს ხმაზე თამრო გარეთ წამოვარდა... სიკოსთან მიირბინა იმის გვერდითვე გულშემოყრილი დაეცა.

იმ დღესვე სოფელმა შეიტყო ბატონის შვილს, სიკოს, ტყეში [illegible] გაუვარდა გატენის დროს და გულში მოჰხვდა. 189... წ. ქართულ გაზეთში ეწერა პატარა შენიშვნა: „კახეთიდამ გვწერენ ტფილისის [illegible] ველ გიმნაზიის მერვე კლასის მოწაფეს თ. ს. ი. ბოროტაძეს ნადირობის დროს, თოფს რომ სტენიდა თოფი გაუვარდა და გულში მოჰხვდა. უბედურმა სულ რამდენიმე საათი იცოცხლა“.

VIII

მშვენიერი მაისის დილა იყო. მთელის შიბლიანის მცხოვრებნი ბალმინდორში იყვნენ სამუშაოდ გაფანტულნი. თუმცა მუშაობა ხალხმა სიმღერა-ლაზლანდარობით იცოდა, მაგრამ დღეს ყველა თავჩაღუნული და გაჩუმებული ებრძოდა მიწას, თითქო რაიმე დაკარგულ საუნჯეს ეძებსო.

მზემ კარგა წამოიმაღლაურა, სოფლის ეკკლესიის ზარის ხმამ მცხოვრებთ შეატყობინა, რომ თ. ოთარ ბოროტაძის სახლიდამ, ოთარის ერთად-ერთი უდროვოდ გარდაცვლილი ქალი კეკე გამოასვენეს. კეკე ორის თთვის წინად ქალაქში ყოფილიყო. იქ ისე გაცივდა თურმე, რომ ფილტვების ანთება დაემართა. ბევრი ეცადა ოთარი, მაგრამ ვერაფერით გადაარჩინა თავისი შვილი სიკვდილს. სწორედ ოთარის პატივსაცემად დღეს სოფელი ასე ჩუმად მუშაობდა. ოთარი და იმისი მეუღლე ნენე ღრმად შავებში მოსილი მისდევდნენ მცხედარს. მთელი წირვა ოთარმა ისე გაატარა, რომ თავი მაღლა არ აუღია. კარებთან ატუზული თავჩაღუნული იდგა. არც წირვის და არც მახლობელთ ნუგეში არ გაუგონია... გაშტერებული დაჰყურებდა დედამიწას... მოაგონდა თავისი ბოროტი საქმე და თვალ წინ გულ-ხელ დაკრეფილი, ფერ-მიხდილი სიკო წარმოუდგა... მოეჩვენა, რომ სიკოს გულზე სისხლია: თვალები დაუბნელდა და წაბარბაცდა. ახლო მდგომნი ქრისტიანნი მიეშველნენ ოთარს, მხარში შეუსხდნენ და ასე წაიყვანეს სასაფლაომდე. გზაზე ოთარი თითქო გონს მოვიდა.

აგერ მცხედარი სასაფლაოზე სამარის პირას დაასვენეს. ოთარი თავზარ დაცემული დაჰყურებდა სამარეს, რომელსაც სამუდამოდ უნდა ჩაენთქო იმისი საყვარელი და ერთად ერთი ნუგეში—კეკე. სამარის ირგვლივ ახლად ამწვანებული მდელო და გაფურჩქვნილი ყვავილები ერთი-ორად უკლავდა გულს ოთარსა. იმის შეწუხებულ გონებაში ვერ მოთავსებულიყო ის, რომ მაშინ აბარებს მიწას თავის კეკეს, როცა უტყვი ბუნება ასე შეჰხარის და შეტრფიალებს სიცოცხლეს. მგალობელთ იგალობეს: „საუკუნოდ იყოს ხსენება მისი“... ოთარმა, როგორც, მოახერხა აიღო ერთი მუჭა მიწა... სამარეს მიაყარა, თვალები აებლისა და გულ-აღმა დაეცა... ხალხი მისცვივდა ოთარს... ძლივს ძლივობით მოაბრუნეს, მაგრამ რა დამართია? ოთარს თვალი დაუბნელდა, უსინათლო და გონება შერყეული ოთარი ხელით მიიყვანეს სახლში...

—

მაგრამ ეს ვინ არის, ტყიდამ რომ ნორჩის ყვავილების კონებით ხელში, ნელის ნაბიჯით სასაფლაოსკენ მიდის? საწყალი თამრო! მშვენიერი თმა მხარბეჭებზე გადმოშლია, არევ-დარევით; მშვენიერი სახე შეშლია...

თამრო ნელის ნაბიჯით მიუახლოვდა სიკოს საფლავს, მუხლებზე დეცა და გულ-საკლავად დაიწყო ტირილი. ტირილით რომ გული იჯერა, ყვავილის კონა გახსნა და ყვავილები საფლავზე გადააყარა...

— ისიც ხომ უდანაშაულოა... სთქვა თამრომ და კეკეს საფლავისკენ წამოვიდა. მეორე ყვავილის კონა კეკეს საფლავს გადააყარა და ისევ სიკოს საფლავისკენ გამოტრიალდა:

— ხვალამდის! უთხრა საფლავს და ისევ ტყისაკენ გასწია...

ი. კახელი

ბეჭდავი. ბოთლში შემდეგი ბარათი იყო: „9 ს. 45 წ. საღამოს. „რუსალკა“ გაირიყა, ყოველივე იმედი დაკარგულია, ილოცეთ ჩვენის ხსნისათვის. ფროლოვი“. ბოთლი მეთევზეთ უპოვიათ და პოლიციისათვის გარდაუციათ.

◆

თეატრი

დღეს საზაფხულო თეატრში სომხური დრამატიული დასი ქ-ნ გრაჩიასა და ცოლ-ქმარ პენნიმეჯიანთა მონაწილეობით წარმოადგენს 5 მოქმედებიან დრამას „და ტერეზია“. ტერეზიას როლს შეასრულებს ქ-ნი გრაჩია. დასაწყისი 7¹/₂ საათზედ.

◆

პეტერბურგის ბირჟა, 21 სექტ.

	მყიდველისა.	გამყიდველისა.	გაყიდულისა.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო	7.62	7,66	— ,,
ტფამოყნის კუპონები	152¹/₄	153	— ,,
მანეთიანი ვერცხლის ფული	— ,,	— ,,	— ,,
5⁰/₀ პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	— ,,	— ,,	240
—მეორისა	— ,,	— ,,	217
4⁰/₀ მესამე სესხისა. .	— ,,	— ,,	— ,,
სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . .	— ,,	— ,,	192
გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: 6⁰/₀.	— ,,	100¹/₂	— ,,
5⁰/₀.	— ,,	100	— ,,
ქუთაისის ბანკისა 6⁰/₀.	— ,,	100¹/₄	— ,,
5⁰/₀.	— ,,	100	— ,,
5⁰/₀ ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა	97³/₄	— ,,	— ,,

გამოსადეგი ცნობანი

რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9
2 წ. სალ.
. . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 20 წ შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. სალ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 30 წ. სალ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 20 წ. დილ.

ტფილისიდგან ხაშურს მიდის 3 ს. დღ. ხაშურიდგან ტფილისს 8 ს. 10 წ. დილ.

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დილისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. სამშაბათობით: დილისით საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

ბათუმში მოდის:

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ოთხშაბათობით: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პარასკეობით: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირ დილით, განთიადისას.

პარასკეობით: საფოსტო და სახალ-

სამშაბათობით: დილისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხუთშაბათობით: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დილისით.

ფოთიდგან გადის:

პარასკეობით: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე,

ხუთშაბათობით: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში. ყე ახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლ.ასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც

—

განცხადებანი

კბილის ექიმი
ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:
დილით 8-დგან 12 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.
კვირა-უქმე დღეებში
დილის 8 საათიდგან ნაშუადღევი 2 საათამდე. (150—105)

წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების გამგეობა აცხადებს, რომ **დაიცალა** დიდითონეთის სასოფლო სკოლის **მასწავლებლის** ადგილი და, ვისაც სურს ამ ადგილზე განწესება, უნდა გამოგზავნოს თხოვნა გამგეობის სახელობაზე. მასწავლებელს ეძლევა ოცდა-ათი თუმანი ჯამაგირი, ბინა საცხოვრებლად და შეშა.

(5—5)

УТВЕРЖДЕНА
ФАБРИЧНАЯ МАРКА
ТОВАРИЩЕСТВО НА ВѢРѢ „ГИГІЕНА“
ПРАВИТЕЛЬСТВОМЪ
ВЪ С.ПЕТЕРБУРГѢ

ამხანაგობა
„ჰიგიენა“
ლიზოლინი
ცუდის სუნის მომსპობი წამალი
ნება-დართულია პეტერბურგის ექიმთა გამგეობისაგან. ისყიდება ყველა საუკეთესო აფთიაქის მაღაზიებში. ბლომად დაკვეთა შეიძლება

პეტერბურგის
სატეხნიკო ქიმიურ ლაბორატორიისაგან
С.-П.-Б. площ. Александринск. театра, 9.
Москва, Никольская, д. Шереметьева.
Варшава, Новый Свѣтъ, 37.

БРОКАРЪ и К°
ГЛИЦЕРИНОВАЯ ПУДРА
НОВОЕ ИЗОБРѢТЕНІЕ
ОСВѢЖАЮЩАЯ КОЖУ.
ОБЕЗПЕЧЕНО ПРАВОМЪ СОБСТ.
50 коп.
ЗА КОРОБКУ

„წერა-კითხვის საზოგადოების“
წიგნის მაღაზიაში
ისყიდება შემდეგი წიგნები:

	მან.	კაპ.
ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . .	„	40
ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . .	„	90
გეომეტრია II მ. ყიფიანისა	„	50
ვისრამიანი..	1	50
თხზულ. რ. ერისთავისა I	1	„
თხზულ. რ. ერისთავისა II	„	40
კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა	„	10
კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა	„	30
იგივე მშვენიერის ყდით .	„	80
მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი.	„	30
შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა	„	20
პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . .	„	10
რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. .	„	30
რუხი მგელი გ. წერეთლისა	„	15
ქილილა და დამანა . .	3	„
შალვას თავგადასავალი ცახელისა	„	15
ცვარი შ. მღვიმელისა .	„	30
წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . .	„	15
ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ.	„	30
ხატაური ან. თუმანიშვილისა.	„	10
კონა ი. გოგებაშვილისა .	„	50
კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა .	„	40
შინაური საქონელი და იმისი მოვლა-მოშენება ი. როსტომაშვილისა . .	„	5
ვიქტორ-ჰიუგოს რომანიდამ „ოთხმოც-და-ცამეტი წელი“ დ. ყიფიანისა.	„	20
სიბრძნე-სიცრუის წიგნი ს. ორბელიანისა. . . .	„	50
ლექსები ვახტ. ორბელიანისა	„	20
დავით აღმაშენებელი, დრამა ალ. ორბელიანისა .	„	40
გმირისეულის ქალი, მოთხრობა ს. მგალობლიშვილისა	„	20
მეველე, მისივე. . . .	„	10
თავადი იერონიმე, მისივე.	„	10
მთიული სოსე, მისივე . .	„	10
ქრისტინე, ე. ნინოშვილისა.	„	20
რავდენიმ მოთხრობა მისივე.	„	50
ოტელო, დრამა შექსპირისა, თარგ. ი. მაჩაბელისა.	„	50
ქართული გრამატიკათ. ჟორდანიასი	„	55
ლექსები გრ. ორბელიანისა	„	50
სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა	1	20
თხზულებანი ი. დავითაშვილისა	„	80
სურამის ციხე, მოთხრობა ჭონქაძისა	„	25
თამარ, სპარსული ლეგენდა	„	10
დემონი ლერმონტოვისა, თარგმანი მამია გურიელისა.	„	15
ცდა I, და III ნაწილი. თითო ნაწ. ცალკე. .	„	50
სამი სხვერპლი, მოთხრობა დ. კარიჭაშვილისა	„	30

გამოსადეგი ცნობანი

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით იღებენ:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სიფილისი).

ე. მ. ჩიქოვანი 9—10¹/₂ საათამდის, სნეულებანი: თვალის და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკევსკი, 10¹/₂—11¹/₂ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი, ბავშვეისა და. დედათა სქესისა.

ი. ფ პროკასევიჩი, 11¹/₂—12¹/₂ საათამდის, სნეულებანი: ყურ-ს, ყელის და ცხვირისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—1¹/₂ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით მიიღებენ:

ი. გ. ჩპურკოვსკი, 5—6 საათამდის, სნეულებანი: გულ-მკერდისა; ხიმიურდ და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) და შარდს.

ა. გუკო, 6—7 საათამდის, სნეულებანი: ათაშანგი (სიფილისი) და ვენერიული.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7¹/₂ საათამდის.

ე. ი. ფრანციუსი, 7—7¹/₂ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის, და ცხვირსა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაურია; ფასი ექიმთა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის— მორიგებით. სამკურნალოს საწოლიც აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოისა, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

წელი მეთორმეტე

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შეიძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1893—94 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქმნება სასწავლებელი: 1) საკომერციო გეოგრაფია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხჰალტერია მარტივი, ორ-კეცი და საბანკო 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გაკრული და შნოიანი.

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდამ. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდამ, ყოველ დღე საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგეევისა და ნაგორნის ქუჩაზე, ათთიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მაიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიმართოს კურსების დამაარსებელს პ. მანუელიანცს, ტფილისს. (24—23)

ა. რალლე და კომპ.
მის უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორის
კარის იჯარადარნი.

აპონური საპონი
„მუსმე“
მხოლოდ ჩვენ შეგვიძლიან ამ საპნის კეთება, პრივილეგია გამოცხადებულია № 1026-ით.

ისყიდება ყველა რუსეთის ქალაქებში.

Доз. ценз. Тифлисъ, 29-го Сентября 1893 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.
რედაქტორ-გამომცემელი **ილია ჭავჭავაძე**